# ხელშეკრულება
# სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №10.32/10/57

ქ. თბილისი 31 მაისი, 2022 წელი

ერთის მხრივ ქალაქ თბილისის საბურთალოს რაიონის გამგეობა (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი გამგებლის გაიოზ ვასაძის სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „გეორგინა“ (შემდგომში – მიმწოდებელი), წარმოდგენილი დირექტორის ციცინო ფუტკარაძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1ხელშეკრულების საგანია: დაშვების ჩიპების შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის საშუალებით.

1.2 შესყიდვის ობიექტი:

| № | საქონლის დასახელება | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის ღირებულება | საერთო ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | დაშვების ჩიპი (CPV31711000) | ცალი | 80 | 3.00 | 240.00 |

## 2.ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს: 240 (ორასორმოცი) ლარს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანმდევი ხარჯების ჩათვლით.

## 3.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში. საქონლის მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. №29.

## 4.შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

4.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე შემსყიდველის მხრიდან უფლებამოსილი პირია - საბურთალოს რაიონის გამგეობის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი გ. სვანიძე.

## 5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება, უნაღდო ანგარიშსწორებით.

5.2 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება, საქონლის მიწოდების და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

## 6. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

6.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6.2ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა სახელშეკრულებლო ღირებულების 10%-ის ოდენობით.

6.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.5%-ის ოდენობით.

## 7. ხელშეკრულების შეწყვეტა

7.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

7.2ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.

## 8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება გაფორმებიდან 2022 წლის 10 ივლისის ჩათვლით.

## 9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთიობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

9.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 10. სხვა პირობები

10.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია.

**მხარეთა რეკვიზიტები:**

**შემსყიდველი:**

საბურთალოს რაიონის გამგეობა
მის: მიცკევიჩის ქ. №29
ს/კ: 205 303 820

**მიმწოდებელი:**

შ.პ.ს. „გეორგინა“
მის: წერეთლის გამზ. №89
ს.ს. „პროკრედიტ ბანკი“
კოდი: MIBGGE22
ა/ა: GE03PC0133600100037617
ს/კ: 202192509

გამგებელი

გ. ვასაძე

დირექტორი

ც. ფუტკარაძე

ხელწერილი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 31 მაისი, 2022 წელი

მე, ქვემოთ ხელისმომწერი ვადასტურებ, რომ აღნიშნულ შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს 2005 წლის 20 აპრილის კანონის მე–8 მუხლის მოთხოვნებს და ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები მიმწოდებელთან.

საორგანიზაციო განყოფილების უფროსი



გ. სვანიძე